ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3226579

ნომერი: AR1497708

თარიღი : 23.04.2017

გაცემის თარიღი : 28.04.2017

გაცნობის თარიღი : 28.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სამგორის მაგისტრალურ არხსა და თეთრ ხევს შორის, (ნაკვ. 38/015) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თეთუ ჩარკვიანი პ/ნ 15001000317
- თბილისი მ.თამარაშვილის ქ. N 13 ბ. 68

ორგანიზაცია:
- შპს „ნეპტუნი მენეჯმენტი“ კოდი: 405160720

ნომენკლატურა :

- მრავალ ადგილიანი ავტოსადგომი
- II კლასი
- ახალი მშენებლობა
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს „ნეპტუნი მენეჯმენტი“
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405160720
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: თეთუ ჩარკვიანი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 15001000317

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: N 3219331
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 21.04.2017

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

ვბრძანებ

1. გაიცეს ქ. თბილისში, სექტორი - სამგორი, სამგორის მაგისტრალურ არხსა და თეთრ ხევს შორის, შპს "ნეპტუნი მენეჯმენტი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი N 01.19.10.038.051), მრავალ ადგილიანი ავტოსადგომის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვა.
2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 28 აპრილიდან 2017 წლის 28 დეკემბრის ჩათვლით.
3. დამკვეთი ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლიარი, კანონით გათვალისწინებული სრული შემადგენლობით, პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით, მათ შორის:
– სამშენებლო მიწის ნაკვეთის საინჟინრო–გეოლოგიური კვლევა;
– საჭიროების შემთხვევაში შენობა–ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთ(ებ)ის კვლევა საქართველოს მთავრობის 24.03.09 წ. #57 დადგენილების 35–ე მუხლის შესაბამისად;
– მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი ამავე დადგენილების 61–ე მუხლის შესაბამისად და თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო აბრა;
– კონსტრუქციული სქემა საჭირო დეტალიზაციით.

- საპროექტო ობიექტი უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო წყალარინების (საკანალიზაციო) შიდა და გარე სისტემით.
- მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მიღებული იქნას ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებლ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.
- თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს «საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი» საქართველოს კანონით განსაზღვრულ ღონისძიებას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დაუკავშირდეთ მერიის ცხელ ხაზს - ტელ: 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. №7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე №4.